ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში

მონიკა ალანია

ელენე მდინარაძე

რუსუდან გულისაბედაშვილი

ჯგუფი №27

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნეს სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მონიკა ალანია

ელენე მდინარაძე

რუსუდან გულისაბედაშვილი

თარიღი: 26/06/2017

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია კვლევა, რომელიც ასახავს საზოგადოების შეხედულებებს სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ასევე, ასახულია საქართველოში საზოგადოების ცნობიერების და მზაობის დონე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა, თუ რა ინფორმაცია გააჩნია საქართველოში მოსახლეობას ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. რა დამოკიდებულებას იჩენს მოსახლეობა, როდესაც კომპანია ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანი იყო განგვესაზღვრა საჭიროებს თუ არა საზოგადოება და კომპანიის მესვეურები ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიასა და სემინარებს. რა გამოწვევები და ბენეფიტები შესაძლოა ჰქონდეს აღნიშნულ აქტივობებს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით.

რაც შეეხება კვლევის აღწერას და მეთოდოლოგიას, აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად გამოვიყენეთ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისობრივი კვლევის მეთოდიდან გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ დარგის ექსპერტთან. რაოდენობრივი კვლევის, კერძოდ კი გამოკითხვის ჩატარების ტექნიკად ავირჩიეთ ონლაინ გამოკითხვა, სადაც მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, სულ 183 ადამიანი. ასაკობრივი დიაპაზონი 18-70 წელი. ასევე ონლაინ გამოიკითხა, მათი ნებაყოფლობით ჩართვის საფუძველზე საქართველოში მოღვაწე რამოდენიმე კომპანია: ელიტ ელექტრონიქსი, სუპერი, ფინკა ბანკი საქართველო, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, შპს აგორა ჯგუფი, სს ენერგო-პრო ჯორჯია, GG თრეველი, 4 finance და ა.შ .

როგორც კვლევების შედეგების ანალიზის მიხედვით დადგინდა, საქართველოს მოსახლეობა გარკვეულწილად გათვითცნობიერებულია CSR-ის არსში და

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისინი პოზიტიურად არიან განწყობილი ამ პოლიტიკის მიმართ. კომპანიების გამოკითხვამ გამოკვეთა რიგი პრობლემები და ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის CSR-ის საჭირო ტემპებით განვითარებას და აუცილებლად საჭიროებს აღმოფხვრას.

კვლევის ჩატარებამდე არსებობდა ჰიპოთეზა, რომ საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია ამ კონცეფციის შესახებ, მოიაზრებოდა ისიც, რომ CSR-ი მეტ-ნაკლებად პროგრესირებდა. კვლევის ჩატარების შემდეგ ნაწილობრივ დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ აქვს ამომწურავი ინფორმაცია ცნების კონცეფციის დონეზე, თუმცა ქმედებების თვალსაზრისით CSR-ი საქართველოში ნამდვილად განიცდის პროგრესს და ბარიერების მიუხედავად მცირე ტემპებით, მაგრამ მაინც ვითარდება და საქართველოში მოქმედი კომპანიები ამ ტენდენციის ზრდას უწყობენ ხელს, ანუ ბინზესი ნელ-ნელა იწყებს გადაწყობას დასავლურ სტანდარტზე და ნაბიჯ-ნაბიჯ იღებს სოციალურ პასუხისმგებლობასაც.

Abstract

There is presented a research about what society discretion is in the respect of corporate social responsibility. There is also presented the level of society awareness, understanding and readiness about this task.

The main reason of the research was to clear up what information society had about business corporate social responsibility. What society attitude shows when company is conducting those types of politics, which is connected to increase the level of society welfare and life level. It was important to determine: if society and company supervisors need some kind of campaign and seminars to increase their awareness, what provokes and benefits will have these types of activities in country-wide level about economically, ecologically and societal point of view.

As for researching description and methodology, to implement research we used qualitative and quantitative research methods. From the qualitative method we used depth interview with branch expert. We also choose online research technique, there were participating different aged people, totally 183 persons. Age range was from 18 to 70.

Online research also included companies, who work in Georgia and they were participating voluntarily. These companies are: Elit Electornics, Super, Finka Bank Georgia, Georgian American University, LTD Agora Group, JSC Energo-pro Georgia, GG Travel, 4 Finance and atc.

As the research results shows, Georgian population understood about CSR essence and it's important to design that they have a positive attitude about this politic.

Company research cleared up, that there are some problems and barriers, which disturbs CSR rate to increase and it's necessary to arrange this problems for SCR stable development.

Before the research there was hypothesis, that Georgian population didn't have enough information about this concept. There was an opinion that CSR had progress. After research this hypothesis was partially confirmed. Some part of Georgian population don't have

complete information in the level of concept, but depend on some actions CSR has progress, and despite of some problems and barriers it still develops. Companies who work in Georgia are promoting to develop these tendencies, depend on this information we can see that business slowly comes closer to the Western standards and everyday assumes social responsibility.